თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 32

„29“ ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 03.01.2018, 010250020.35.163.016370).

1. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ძეგლთა დაცვის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების/ობიექტების დაცვას, მოვლა-პატრონობას, მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების პერიოდულ შემოწმებას, მონიტორინგს;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენას, შესწავლას, კვლევას, ფიქსაციას, დიგიტალიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას და ინვენტარიზაციას;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების/ობიექტების ერთიანი ბაზის შექმნას და მართვას, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთობლივად საინფორმაციო ბანკის შექმნას და პერიოდულად განახლებას, მოპოვებული ინფორმაციის მოვლა-პატრონობას და გავრცელებას;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისთვის სტატუსის მინიჭების მიზნით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან წინადადების წარდგენას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების დაცვის მიზნით, კონსულტაციის და რეკომენდაციის გაწევას;

ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე/ობიექტებზე ჩასატარებელი კვლევითი-არქეოლოგიური და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვის შესახებ წინადადებების წარდგენას;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე/ობიექტებზე კვლევითი-არქეოლოგიური და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;

ი) ძეგლის მოვლა-პატრონობასთან, მის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ჩასატარებელი სხვა ღონისძიებების შესახებ წინადადებების წარდგენას და სამუშაოების წარმოებას (მათ შორის დაზვერვა, გაწმენდა-დასუფთავება, კონსერვაცია, რესტავრაცია, ადაპტაცია);

კ) სამეცნიერო-კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების სრულყოფისთვის ადგილობრივ დონეზე ტექნიკური სიახლეების გამოყენების ხელშეწყობას;

ლ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებთან, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;

მ) საგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობას, მათი საქმიანობის ხელშეწყობას და შემდგომში, მათი შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენებას;

ნ) საქართველოს და საზღვარგარეთ სამეცნიერო, სასწავლო და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობას;

ო) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელებას, იმ პროექტების ხელშეწყობას, რომელიც გვთავაზობენ ტურისტული პოტენციალის გაზრდას და განვითარების ახლებურ მიდგომებს და მექანიზმებს;

პ) კულტურულ მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით ღონისძიებების მოწყობას, მათ შორის: სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, შეხვედრების, ლაშქრობების და სხვა ღონისძიებების მოწყობას;

ქ) კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად შესაბამისი ბუკლეტების, გზამკვლევების, ალბომების, ნაშრომების ბეჭდვას და მათ გავრცელებას;
რ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე